L-94.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელა

7-8 ივლისი
აგვისტო

05 „1932“
ო-93

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვიური საბავშო ჟურნალი, № 7—8.

ოქტომბრელი

საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მეთაროს და განათლების სახ. ჯომისარ. სოც. აღზრ. მთავარმართველობის ჟურნალი მცირეწლოვან მაჯშთათვის

ივლისი — ავგისტო 1932

ალმასკომის ძუჩა, № 7.

მუშები ბრუნდებიან სამუშაოდან.

შინაარსი

1. მტვერი,—ბ. ჩხეიძის 1
2. ბანაკად,—ლექსი გიორგი ივანიშვილის 5
3. როგორ გავაკეთოთ საკურდღლე,—შ-ის 6
4. გამოიცანი,—ლექსი ავთ. კაშმაძის 8
5. მობანაკის დღიურიდან,—ელ. აღლაძის 9
6. რა არის კარგი და რა არის ცუდი,—ლექსი ვ. მაიაკოვსკის, თარგ. ირ. აბაშიძის 14
7. მიჩურინის სანერგეში,—თარგ. ნ. ტყეშელაშვილის. . . 17
8. დნეპროსტროი—36 მილიონი ადამიანი,—შ. თ-ის 21
9. ჩაპეიელი ლიუ,—თარგ. ელ.-ის 22
10. წყალქვეშა სახლი,—ცქვიტის. 28
11. ვისწავლოთ თვითმფრინავის მოდელების გაკეთება,—გ. ი. . 30
12. ბურთის თამაში,—ნ.-ნ . . . . . გარეკანის მე-4 გვ.

სახელგამის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

შეკვეთა 556. მთავლ. რწმუნებული № ა—343 ტირაჟი 2800.

899.962.1(05)
ლ-94 ეროვნული
ბიბლიოთეკა

1952

ქალაქში მტვერი არ იცოდა, მაგრამ გაჩნდა. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ქალაქელებს სისუფთავე დაავიწყდათ და მტვერი შეუვარდათ. არა, პირიქით, კომპარტიის და ხელისუფლების მთელი ძალღონე სწორედ იქით არის მიმართული, რომ ქალაქში რაც შეიძლება მეტი სისუფთავე იყოს, რაც შეიძლება ნაკლები მტვერი იდგეს.

მტვერი და უსუფთაობა პირველი და ყველაზე მეტი მტერია ქალაქის მოსახლეობის.

მაშ რა მოხდა, რომ ქალაქი მტვრით აიკსო?

უბრალო რამ!

რომ მომავალში მტვერი აღარ იყოს და მოსახლეობის ჯანმრთელობა დაცულ და უზრუნველყოფილ იქნეს, კომპარტიამ დაავალა ქალაქის აღმასკომს—ქუჩებიდან აყაროს რიყის ქვა და მაგიერად მოასხას ასფალტი, რის შემდეგაც ქალაქში მტვერი გაცილებით ნაკლები იქნება.

ნუნუ და ნიკო თავიანთი მშობლებით ქალაქის სწორედ იმ ქუჩაზე ესახლენ, რომელზედაც აღმასკომის ინჟინრებმა მუშები დაუყენეს, ქვაფენილი აყარეს, რომ მის მაგიერ ასფალტი მოასხან.

ნუნუ დედას არ სცილდება, ნიკო წამდაუწუმ ქუჩაზე გარბის, უსარია, რომ მუშები ლომებით ანგრევენ ძველ ქვაფენილს, თხრიან ორმოებს ნაწვიმარი წყლის ჩასასვლელად და იღებენ ვეებერთელა გრძელ თხრილებს ახალი წყალსადენის მილების ჩასაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილებით მოაქვთ ოთხკუთხი შპატის ძელაკები, რომ შუა გადასასვლელზე მოაგონ სალხისა და ეტლების მოძრაობის შესაფერისად. ცველიან ტრამვაის რელსებსაც და ქუჩის ორივე მხრით აკეთებენ დიდ კვლებს ბალასის დასათესად.

ნიკო თითქმის მთელი დღე მუშებთანაა. სან ერთს ესმარება, სან მეორეს. მარტო სადილად შემოდის შინ, ან კიდევ მაშინ, თუ ქარმა დაბერა და სილა თვალებში შეაყარა.

საღამოობით შემოდის შოფერი ბიძია თედო და დიდის ამბით გაუმეორებს ნიკოს:

—ნიკო, შელეკვო, როდის მისვალ სააგარაკოდ? დიდხანს დარჩი' სანამ ქუჩებს მთლად არ მოაგებენ ასფალტით. მე აქედან მოგწერ, ასფალტის მოსხმას რომ დაიწყებენ, შენ იქიდან, აგარაკიდან მიპასუხე როდის დაბრუნდები—და ავტომობილით დაგსვდები სადგურზე. ისეთი გაგაქროლო ჰრონსპექტზე, რომ ავტო სულაც არ ინძრეოდეს.

—ძლიერ კარგი, ძია თედო, წერილს ერთს კი არა, მეტსაც მოგწერ. იქ ხომ მარტო დასვენება მოგვისდება,—უპასუხა ნიკომ და თანაც დაატანა: – დღეს დილას აქეთ დედა ემზადება, ალბათ საღამოთი გაგვემგზავრებით.

თედო და ნიკო საუბრობდენ, რომ ნიკოს მამა შემოვიდა, ქუდი კედელზე მიკიდა და დაღალული ჩამოჯდა.

—თედოს და ნიკოს ვახლავარ! — დაიძახა ოდნავდასვენებულმა მამამ.—ნიკო დედასთან წავიდეს და ბარგის ჩაწყობაში მოეხმაროს, მატარებლით მივდივართ.

—მეც წამოვალ, ავტოს მოვიყვან,—თქვა თედომ და გავიდა გარეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკოს ქუჩის ბირას ჰქონდა ბარგი გამზადებული. ბიძია თედოც მოვიდა, მოიყვანა თავისი ავტომობილი და ბარგი ჩააწყო. შემდეგ მთელი ოჯახი ჩაჯდა შიგ და გააქროლეს სადგურისაკენ.

უკან რომ მოიხედა ნიკომ, ავტომობილი მტვრის კორიანტელს აყენებდა, ოღრო-ჩოღროებში ვარდებოდა.

სადგურზე ბორჯომის მატარებელს ჩაუსხდენ. მატარებელი რომ ავჭალისაკენ გაუყვა, ღია საზაფხულო ვაგონში სუფთა ჰაერი შემოდიოდა. ნიკომ ნუნუ მოაჯირთან მიიყვანა.

ღრუბლიანი დღე იყო. ჩამქრალ ჩირაღდანივით ბოლავდა ღრუბლები მთის წვერებზე და უკან რჩებოდა სოფლები, დაბები და რკინისგზის სადგურები.

ნიკო და ნუნუ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ჰაერი ქალაქგარეთ სჯობდა.

— ნეტავ, ნუნუ, ასეთი ჰაერი იყოს ქალაქშიაც,-თქვა ნიკომ და წარმოიდგინა სილა, მტვრიანი ქარი, ტფილისის ქუჩებზე რომ იცის.

—კარგი იქნებოდა,-ძიუგო ნუნუმ,-მაგრამ შენ ქალაქს მაგის გულისათვის მოსცილდებოდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არაფრის გულისათვის არ მოვცილდებოდი, მხოლოდ მტვერს შევებრძოლებოდი, რომ ისეთივე ჰაერი იყოს იქაც, როგორც აქ.

თქვა ნიკომ და სამაგიეროდ ნუნუს შეეკითხა:

—შენ რაღას იზამდი, ნუნუ?

— მეც აგრე მოვიქცეოდი,-ძიუგო დამ.

ეს პასუხი ნიკოს ძლიერ მოეწონა, დას სიხარულით ხელები ჩააკრა, ტუნვა დაიწყეს. ნიკოს და ნუნუს საუბარი გაესარდა მათ დედ-მამას, რომლებიც იქვე ისხდნენ და მოაჯირზე ჩიტებივით გადაეუდებულ შვილებს უყურებდნენ.

—ნამდვილად ქალაქის მოყვარული იზრდებიან ჩვენი შვილები,-თქვა მამამ.

—ენაცვალოთ მაგათ დედა, მშვენიერი შვილები მყავანან,- დაემოწმა დედაც.

ნუნუ და ნიკო ორ თვეს დარჩენ აგარაკზე, ბორჯომში.

ბევრი ისტუნავეს და იცელქეს ფიჭვებისა და ნაძვების ძირებში, შემდეგ მამა ამოვიდა, წაიყვანა ისევ ტფილისში.

ბიძია თედო დიდი სალამით და ეგირილით დასვდა ბაქანზე.

—ჩამოსვედით, ანცებო? ბევრი იცელქეთ? ვინ ნახეთ? ბარგი არ დაკარგოთ, ჩქარა ჩასხედით ავტომობილში.

ნიკომ და ნუნუმ ბიძია თედო გადაკოცნეს და ჩანთებით გაჰყვნენ.

ავტომობილში მოეწყვნენ. დიდ გაპსიერზე რომ გავიდენ, ნიკომ უკან მოიხედა,—ავტომობილს აღარ მოსდევდა მტვრის კორიანტელი, აღარ ირეოდა.

ქუჩა მოგებული იყო სუფთა და რბილი ასფალტით, ავტონელა მისრიალებდა.

შინ რომ მივიდენ, ბარგი ჩამოალაგეს, ნიკო კიდევ ჩაუჯდა ავტოში, შემოუტრიალეს ორჯერ ქალაქს და საღამოთი სურნელოვან ჩაის შეექცეოდენ.

—ჩქარა არც ერთი ქუჩა აღარ იქნება მტვრიანი,-თქვა თედომ.



—ჩვენს ქალაქში მთასავით სუფთა ჰაერი იქნება,-დაემოწმა ნიკო.

—მაშასადამე, ყველანი ჯანმრთელები ვიქნებით,—გამოიყვანა დასკვნა ნუნუმ.

ბ. ჩხეიძე.

ბანაკად

გეგმას ასრულებს ბანაკი,
ეოველი წუთი ფასად ღირს,
რომ შესვდენ ჯანსაღ კუნთებით
ამ სასწავლო წლის დასაწყისს...
საღამოს სანზე თავს იერის
დამკვრელთა ჯგუფი ბანაკში,
რომ აიყვანონ ბუქსირზე
ჩამორჩენილნი სწავლაში.
სოცშეჯიბრია გაშლილი,
გეგმას აჭარბებს ბრიგადა.

—აჭა, სომ ნახა, ჩამოგვრჩა,
ვანო რომ ძაან იქადდა!
ვანოს სირცხვილი აწვება,
ტემპებს ჩამორჩა აღებულს.
ამბობს: ,,კვლავ ბრძოლა სჯობია,
უკან დახევა არა ღირს!''
დღეებს დღე მოსდევს, დრო გადის,
და ფოლადდება კუნთები...
არ დაიკარგოს უგეგმოდ
გაჯანსაღების წუთები!

გიორგი ივანიშვილი.

როგორ გავაკეთოთ საკვრღლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღლის გალია სულ უბრალო და იაფი მასალისაგან უნდა გავაკეთოთ, შეიძლება გამოვიყენოთ ფიცრებისა და ფიერფიცრის ჩამონაჭრები. გალიის განი 75-80 სმ მაინც უნდა იყოს, სიმაღლე—60-65 სმ. გალიას ჭუჭრუტანები არ უნდა ექნეს—შინაური კურდღელი ვერ იტანს ქარჭვალს (გამკრავ ქარს), ერთი კედელი კი ცხრავური უნდა იყოს, რომ გალიაში ბლომად იყოს სინათლე და ჰაერი. სიმშრალე და სისუფთავე აუცილებელია. ძირი ორმაგია საჭირო: ზედა ძირი – ცხავური, ქვედა – მთლიანი და დაფერდებული, რომ ადვილი გახდეს გალიის გასუფთავება.



ყოველ გალიას სჭირდება ბაგა, რომელსაც კედელზე ამაგრებენ, პატარა როფი საკვებისთვის და წყლის ჯამი. როფი და ჯამი თიხის უნდა იყოს, – მაშინ ისინი მძიმე და მდგრადი იქნებიან და კურდღელი ვერ გადაატრუნებს მათ. ხის როფი და ჯამი უვარგისია, რადგან ხე წყლით იჟღენთება, ეს კი კურდღლებისთვის მავნებელია.

ზემოაღნიშნულ გალიაში მთელ წელიწადს რომ იყოს კურდღელი, მის ჯანმრთელობას არავითარი ხიფათი არ მოელის. როდესაც კურდღელი ბაჭიებს დაყრის ზამთარში, თუ დიდი სიცივეებია, მაშინ სჭირდება გალიას დათბუნება.

ბაჭიებისთვის აუცილებელია ბალახით დაფარული შემოღობილი პატარა ნაკვეთი, რომელიც უმჯობესია ვაკე იყოს, ანდა ოდნავ დაფერდებული. ყოველ შემოღობილში შეიძლება მოთავსდეს 30 ბაჭიამდე 3-3½ თვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ მამალი კურდღლები ცალკე უნდა მოათავსონ. შემოღობილი

ფართობი 6 კვ. მეტრზე ნაკლები მაინც არ უნდა იყოს და საჭიროა მისი აქა-იქ გადახურვაც, რომ წვიმის დროს შეაფარონ კურდღლებმა თავი.

როგორ ვკვებოთ შინაური კურდღლები

კურდღლებს საკვები ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უნდა მიეცეს, ზამთრობით ორჯერ დღეღამეში, ზაფხულობით კი სამჯერ. ბაჭიებს საკვები 4-5 ჯერ სჭირდებათ დღეღამეში. საკვები სუფთა ხელებით უნდა ავიღოთ, თივა ბაგაში ჩავუდვათ, სხვა საკვები კი—როფებში.

ყოველ გალიას თავისი როფი უნდა ჰქონდეს და არ ავურიოთ ისინი ერთმანეთში, რომ ერთი კურდღლის ავადმყოფობის დროს სხვებსაც არ გადავდვათ სენი.

თივა ბაგაში მუდამ უნდა იყოს, რადგან ეს არის კურდღლის ძირითადი საკვები, სხვა საკვები კი იმდენი უნდა მივსცეთ, რამდენის შეჭმაც შეუძლია კურდღელს ერთ ჯერზე. ღამით მეტი საკვები უნდა მივსცეთ.

საკვები სხვადასხვაგვარი უნდა იყოს—ერთიდაიგივე საკვები მალე ბეზრდება კურდღელს.

წყალი დღეღამეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიეცეს და ისიც გორც კი დალევს, რამდენიც უნდა, მაშინვე უნდა წაიღოთ წყალი.

კურდღლებს შეიძლება მივსცეთ:

ქერი—მშრალი ან ორთქლში გატარებული (გაცივებული); სიმინდი—მშრალი, დაღერღილი; კარგია აგრეთვე ქატო, მოხარშული კარტოფილი.

ძალიან სასარგებლო საკვებია ჭინჭარი; მას აგროვებენ, ახმობენ და როდესაც უნდა აჭამონ კურდღელს, მდუღარეს გადაასხამენ.

კურდღელს უყვარს სტაფილო, ჭარხალი, მიწის მსხალი.

გარდა ზემოჩამოთვლილი საკვებისა, კურდღლებს აჭმევენ სასადილოს და სამზარეულოს ნარჩენებს—პურს, გაწურულ წვენს, სხვადასხვაგვარ შორვას. ყოველივე ამას კურდღელი სიამოვნებით ჭამს.

კურდღელს არ უნდა ვაჭამოთ: ხახვი, ნიორი, აგრეთვე კარტოფილის, ლომის, ალუბლის, ქლიავის და ჭერამის ფოთლები.

ბავშვებო! მოსწერეთ „ოქტომბრელი"-ს რედაქციას—როგორ მოაშენეთ კურდღლები, რა მიღწევები გაქვთ და რა გაბრკოლებსთ.

მეკურდღლეობა მეფურნეობის ძალიან სასარგებლო დარგია.

ვაშენებთ!



რად ვაშენებთ სწრაფი ხელით
სოციალიზმს ასე მედგრად,
რისთვის არის შედგენილი
მშენებლობის დიდი გეგმა?
უამრავი ფაბრიკები
რატომ გვინდა ავაშენოთ,
დანგრეული მრეწველობა
ფეხზე რისთვის დავაყენოთ?
გესმით, მიწის შავ წიაღში
როგორ იბრძვის მუშა, ხარობს,
ის იქ შრომობს შავ მადანში
და იზრდება მთა-მაღარო.
წყაროების ტალღას ხედავთ,
არტეზიულ ჭათა ბურღილს?
აქ ნავთები მუდამ ხეთქავს,
ალბათ ისმენთ იმის ქუხილს.
თქვენ რომ დილით ჩაის მოსვამთ
და შიგ შაქარს ბლომად ჩაყრით,
ის მინდვრებმა შრომით შობა,
იქ ხარობდა შრომის მადლი.
მაშ გაიგე, გამოიცან,
რისთვის ვიბრძვით ასე მედგრად
და რად გვინდა რომ შესრულდეს
მშენებლობის დიდი გეგმა.

ავთ. კაშმაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანაკის ღრიჭრიღან.

—ძალიან წააგე, რეზო, ძალიან, რომ ამ ზაფხულს საბანაკოდ არ წამოხვედი,- ეუბნებოდა ჰიონერთა ბანაკიდან ახლადდაბრუნებული გოგი თავის საუკეთესო ამხანაგს.-ნეტავ იცოდე, რანაირად გამიტაცა ბანაკის ცხოვრებამ. მე ეველაფერს დაწვრილებით გიამბობ და, დარწმუნებული ვარ, მოძავალ წელს შენც აუცილებლად წახვალ საბანაკოდ.

—მერე და, გოგი, არ მოგეწონა? სრულებით არ მოგენატრა დედა, მამა, შენი ჰატარა დაიკო? მე კი ძალიან მომენატრებოდა,— უთხრა რეზომ.

—კი, რეზო, მართალი რომ გითხრა, ჰირველ ხანებში მოწყენილი ვიყავი. რამდენჯერმე გამოქცევაც კი დავაჰირე, მაგრამ ბოლოს ისე შევეჩვიე ახალ ამხანაგებს, ისე შევეჩვიე ახალ ცხოვრებას, რომ წამოსვლაზე ფიქრიც აღარ მინდოდა.

—მაშ მიამბე, გოგი, ეველაფერი დაწვრილებით მიამბე: რას აკეთებდი, როგორ ცხოვრობდი, როგორ ატარებდი მთელ დღეებს.

—აი რა, შენ რომ ბანაკის ცხოვრება უფრო წარმოიდგინო, მე გიამბობ ერთი დღის ამბავს. მე ის დღე ეველაზე უფრო მომეწონა. იმ საღამოს დღიურიც კი ჩავიწერე. ეს იყო ათი აგვისტო.

დილით ადრე გამეღვიძა. ჩემს გვერდით ჩემი ახალი მეგობარი ტიტო ტკბილად სვრინავდა. კარავებიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ვეღარ მოვითმინე და ტიტოს ხელი წავკარი:

—ტიტო, გაიღვიძე, ბიჭო, გათენებულა! გახსოვს, გუშინ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელს რას ეუბნებოდა ბანაკის გამგე?

—ჰა, რას ეუბნებოდა... ჰო, მართლა, ხვალ კოცონი უნდა დავანთოთო,—და ტიტო უცბად გამოფხიზლდა.

ამასობაში საუვირის ხმაც გაისმა, მე და ტიტო სასწრაფოდ წამოვხტით და კარავიდან გამოვედით. სხვა კარავებიდანაც გამოფენილიეკენ ჰიონერები. ეველანი საკარჯიშო მოედნისაკენ მივდიოდით; ვარჯიშმა მთლად გაგვაცოცხლა. ვარჯიშის შემდეგ, მტკიცე ნაბი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯებით, მწკრივად დაწყობილებმა მდინარის პირას დასაბანად გავსწიეთ. მდინარის ცივმა წყალმა ყველას სალი მოგვეგარა. მხიარული ჟრიამულით უკან დავბრუნდით და ანძის ირგვლივ ოთხკუთხედად შემოჭვლებულ საზზე გავმწკრივდით. დროშის აღმართვის შემდეგ მორიგე ხელმძღვანელმა დღის რეჟიმი გამოაცხადა. პიონერები სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექით — დღის რეჟიმი ძალიან საინტერესო იყო: ბანაობა, ექსკურსია ტყეში და, რაც მთავარია, კოცონი...

ჩაის შემდეგ სხვადასხვა წრეების მეცადინეობა დაიწყო. სამხედრო წრის ხელმძღვანელი თოფის ნაწილებს გვიხსნიდა. მართალია, მე და ტიტოს თოფი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ბანაობა მაინც არ გვავიწყდებოდა. მეტადრე ტიტო ყველარ ისვენებდა.

—გოგი, მოდი, ახლავე გავიპაროთ. ყველაზე ადრე ჩვენ დავიწყებთ ბანაობას,-წამჩურჩულა ტიტომ. მე არ დავეთანხმე და მასაც ვურჩიე—წესრიგს ნუ დაარღვევ შეთქი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიხედე, და ტიტო ჩემს გვერდით აღარ იჯდა. მე ისევ სამხედრო ხელმძღვანელს ვუსმენდი. აი, აბუზული ტიტო ნელ-ნელა უკან მოიპარება. ჩუმად ისე გვერდზე მოძიჯდა.

—გოგი, მორიგე პიონერმა ფეხიც არ გადამადგმევინა ეზოდან,— შეჩივლა ტიტომ. მე დავამშვიდე და ვუთხარი:

—ცოტა მოითმინე, ცოტა, სულ მალე წაგვიყვანენ საბანაოდ.

სამაცადინო საათებიც გათავდა. საყვირის ხმამ ბანაკი გამოაფხიზლა. პიონერები თავ-თავის რაზმის ხელმძღვანელებთან მოგროვდენ. გაისმა ხელმძღვანელების მკვეთრი ხმა:

—ერთი, ორი! ერთი ორი! და მწკრივში დაწყობილებმა მდინარისაკენ გავსწიეთ. თეთრსალათიანი ექიმი საათით ხელში უკან მოგვდევდა. მდინარეზე მალე მივედით. ექიმმა ჯერ მზის აბაზანები მიგვაღებინა და შემდეგ მდინარეში შეგვიშვა. ის ეურადღებით ადევნებდა საათს თვალს, რომ წყალში დიდხანს არ გავჩერებულიყავით. მე წელიდან ამოსვლა ძალიან მეზარებოდა. ტიტო ხომ ძლივს ამოათრიეს. ექიმი გოგოებით უფრო კმაყოფილი იყო: ისინი უველაფერს მიჯერებენო. ბანაობამ მაინც კარგად ჩაიარა. ბანაკში ნასიამოვნები დავბრუნდით. დღის რეჟიმის მიხედვით ჩვენი რაზმი ტეეში უნდა წასულიყო საექსკურსიოდ. საუზმის შემდეგ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელმა ისევ მწკრივში ჩაგვაყენა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელს ჩაგვაბარა. მასწავლებელმა მშვენიერ დაბურულ, ბანაკთან ახლო მყოფ ტეეში შეგვიყვანა. უზარმაზარი წაბლის ხის ტოტები მზის სხივებს ჩვენამდე აღარ უშვებდენ. პატარა ფერდობზე ნაძვნარი აღმართულიყო. მასწავლებელი ტეის მნიშვნელობას გვიხსნიდა. ჰიონერები ათასნაირ შეკითხვას ვაძლევდით. პატარა მარო რაღაც მცენარე მოარბენინა და ეკითხებოდა: ეს რა არისო? მასწავლებელი ყველას ეურადღებით გვისმენდა და დინჯად გვაძლევდა პასუხს.

მალე ჩვენი რაზმი სხვა რაზმებს შეუერთდა, რომლებიც ფიჩხის მოსაგროვებლად იყვნენ წამოსული. ჭიკვილ-სიცილით მოვეფინეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეს. ყველანი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ფიჩხების მოგროვებაში-ტიტო გოგონებს აჯავრებდა: თქვენ უშნოები ხართ, მოგროვება არ შეგიძლიათო, თვითონ კი ისე გაფაციცებული აგროვებდა ხმელ ფიჩხებს, რომ ხელები მთლად დაიკაწრა. როცა ყველამ საკმარისად მოგროვეთ, მსიარული ეიჟინით ბანაკისაკენ გაგუდექით და თან მოვათრევდით ფიჩხის კონებს. ფიჩხები შუა მოედანზე დავყარეთ. მორიგე ჰიონერები დიდის ფაცაფუცით აწყობდენ მაგიდას. გემრიელი სადილი მადიანად შევჭამეთ და მკვდარი საათის ჩასატარებლად კარავებისაკენ გავემგზავრეთ. ერთი საათის შემდეგ ისევ ეზოს მოვეფინეთ. მე და ტიტო სულ კოცონზე ვფიქრობდით, სხვა ალარაფერი გვაინტერესებდა. მაგრამ უცბად ჰაერში ბურთი შევნიშნეთ და ხელად იქითკენ გავექანეთ. ფიზკულტურის მასწავლებელმა ორ ჯგუფად გაგვყო. კალათბურთი გავაჩაღეთ. კოცონი მთლად დაგვავიწყდა. თავგამოდებული ვიბრძოდით ბურთის კალათაში ჩასაგდებად. თამაშში დამარცხებული ჩვენი ჯგუფი დარჩა. მე და ტიტო, ცოტა არ იყოს, ავიბუზეთ. უკვე შებინდებული იყო. შუა მოედანზე ფიჩხების ზვინის აღმართვა უკვე დაემთავრებინათ და ის იყო ნავთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსატანად მიდიოდენ. მე და ტიტო ხელად გავმხიარულდით. საუკეთესო მთელი ბანაკი კოცონის ირგვლივ მოიწვია. კოცონს ყველანი გარს შემოეხვიეთ. სასულე ორკესტრი აგუგუნდა და უცბად ჰაერში ალი ავარდა. ყველანი აღტაცებაში მოვედით. ცეცხლის ტკაცატკუცი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასულე ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა; გაიმართა მხიარული ცეკვა-თამაში. ჩვენი ტაშისცემა უკვე მიძინებულ სოფელს აურეებდა. ფიჩხები ძალე დაიწვა. ყველანი ჩამქრალი კოცონის ირგვლივ დავსხედით. ხელმძღვანელმა ლენინზე თავდასხმის შესახებ გვიამბო. ჩვენ გატაცებული ვუსმენდით. საუბრის დამთავრების შემდეგ დროშა დაეუშვით. ორკესტრი ინტერნაციონალს უკრავდა. ჩვენ ისევ ხაზზე ვიდექით. მორიგე ხელმძღვანელმა ხმამაღლა შესძახა:

—მუშათა კლასის საქმისათვის იუავ მზად!

—მზად ვართ!—შევძახეთ ერთხმად და დავიშალეთ, ნელ-ნელა ჩვენ-ჩვენი კარავისაკენ გავემართეთ.

სანამ დავწვებოდი, დღიური ჩავიწერე და, შთაბეჭდილებით დაღლილმა, ტკბილად ჩავიძინე.

რეზომ აღტაცებით ტაში შემოკრა და შესძახა:

—აუცილებლად წავალ მომავალ ზაფხულს საბანაკოდ!

ელენე აღლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა არის კარგი და
რა არის ცუდი?

კიკნა ბიჭი
მამასთან
შემოიჭრა წუთით:
,,მამა,
კარგი რა არის
და რა არის
ცუდი?''
საიდუმლო
მე არ მაქვს,
მომისმინეთ მტკიცედ,
და ჰა,
მამის პასუხსაც
მე ამ წიგნში
გიწერთ:
,,თუ სახურაეს
გლეჯს ქარი,
დგება სეტყვის წუთი,—
ეველამ იცის,
ეს არის
მგზავრებისთვის
ცუდი.
შეწყდა სეტყვა
მქუსარე
და მზე ღრუბლებს გასცდა,—
ეს კარგია,
უსარის
დიდს და
პატარასაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ბავშვს ტანზე
ლამისფრად
შავი ჯუბეი
ამევს,—
ცუდი არის,
მოქმედობს
ბავშვის სათუთ
კანზე.
თუ ბავშვს უყვარს
საპონი,
უყვარს
კბილის ფხვნილი,—
კარგი არის
ეს ბავშვი
და ამგვარი შვილი.
თუ სურს ვისმე
საძაგელს
სუსტ პატარის ჩაგვრა,—
მე მას
წიგნში არ ჩავწერ
და არ ვთვლი
ბავშვადაც.
ის, ვინც ყვირის:
„მოსცილდით,
ამ პატარას
ნუ სცემთ!“—
ძლიერ კარგად იქცევა,
ეხმარება
სუსტებს.
თუ დახია
ნაკუწად
წიგნები და

ბურთი,—
ოქტომბრელნი
ამბობენ:
,,ეს ბავშვია ცუდი''.
თუ ბავშს
უყვარს შრომა და
წიგნში თითებს
ჩარგავს,—
მისთანაზე იქ წერენ,
რომ ეს ბავშვი
ვარგა.
თუ ეგვაგსაც კი
გაურბის
და გონებას კარგავს,—
ეს მშიშარა
ბავშვია,
შიში კი
არ ვარგა.
ის თუმც
კიკნა ბიჭია,
ლეგა ფრინველს
ჩაგრავს,—
ეოჩალი და კარგია,
ცხოვრებისთვის
ვარგა.
ზოგს ტალახშიც
უსარის,
დასვრილ ქუდს
არ იძრობს,—
ასეთ ბავშვს
უწოდებენ
უვარგისს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბინძურს.
მას კი წადა
ისე აქვს,
როგორც ბირი
სარეის,—
თუმც ბატარა ბიჭია,
მაგრამ ძლიერ
კარგი.
ეს გასსოვდეს
ბავშვებო,

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

მეც საუბარს მოვრჩი,
კარგ ქცევას
შეეჩვიეთ,
სანამდე სართ ნორჩი".
ბავშვი სწრაფად გაიქცა,
გადაწევიტა წუთით:
„უნდა
კარგად მოვიქცე,
არ ვიქნები ცუდი".

ვ. მაიაკოვსკი.
თარგ. ირ. აბაშიძის.

მიჩურინის სანერგეები

ქალაქ კოზლოვის გვერდით მიჩურინის სანერგეა. ეს მიწის დიდი ნაკვეთია, სადაც იზრდება სულ განსაკუთრებული ჯიშის ხილი, ყვავილები და ბოსტნეული. მიჩურინი ცნობილი მებაღეა, ის ამ ბაღში აწარმოებს სხვადასხვანაირ ცდებს, რომ მიიღოს ახალი ჯიშის და ახალი ხარისხის მცენარეები.

მიჩურინს შორეული ჩრდილოეთიდან და შორეული სამხრეთიდან მოაქვს მცენარეები და აწარმოებს მათზე ცდებს, რომ მიიღოს ისეთი ჯიში, რომელიც ყველგან გაიხარებს და გაიზრდება.

დახედეთ: აი კვალი პაწაწკინტელა ბუჩქებისა. ეს მსხლის ხეებია. ეს ხეები მიჩურინმა თურქეთიდან და ამერიკიდან მიიღო.

და აი უკვე ჩვენს ქვეყანაში იზრდებიან ეს ალუბლის და მსხლის პაწაწკინტელა ხეები.

ასეთი დაბალი ხეებიდან ადვილია ხილის დაკრეფა, ჩიტების მოგერიება და, საერთოდ, მათი მოვლა.

შხამაბალახისაგან და ალუბლისაგან მიჩურინმა მიიღო ახალი ხეები. მიუახლოვდებით შხამაბალახს და ხედავთ: მასზე იზრდებიან წითელი ალუბლები, არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ალუბლის ხეზე: ერთ კუნწზე ორი ალუბალი, არამედ ერთ კუნწზე ორმოცდაათი, სამოცი ალუბალი.

აი ალუბლის ხე, რომელიც ქოთანში იზრდება და რომელიც მაგიდაზე დევს. ეს პაწაწინა ხე დაყურწულია დიდი წყლიანი ხილით. როდესაც მოსავალი შემოვა, დაკრეფენ ქორფა, დაუჟეჟელ ხილს. დაბალი ტანის ხეებს ძლიერ ცოტა ადგილი სჭირია, ის შემოსავლიანია და ხელსაყრელი.

დიდი მზრუნველობით და დიდი ყურადღებით აშენებენ მცენარეებს მიჩურინის ბაღში. მათ გახსაკუთრებული საკვებით და

განსაკუთრებული ნიადაგით ზრდიან, მოქმედებენ მათზე ელექტრობით.

მიჩურინის ბაღში არის ახალი ვაშლის ხეები. ბაღის მეთვალყურეებს ეშინიათ მათ ძირში დაძინების: ჩამოვარდება ვაშლი ხიდან

და გამოიღვიძებ დიდი კოპით. ამნაირი ვაშლის ხელში დაჭერისათვის საჭიროა ხელისგულების ფართოდ გაშლა. თითო ვაშლი 600-800 გრამს იწონის.

მიჩურინის ბაღში არის ყოლოს ბუჩქებიც, რომლების ნაყოფი სამჯერ-ოთხჯერ უფრო დიდია ჩვეულებრივზე. ერთი ყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოს ჩირგვიდან 6-7 კილოგრამი ჟოლო დაიკრიფება. ნაყოფი მაგარია, არ უშინდება რკინისგზაზე გადატანას და არ იშლება, როდესაც მისგან მურაბას ხარმავენ.

მიჩურინის სანერგეში არის ხეები, რომელთაც მარლის უზარმაზარი საბურველი აქვთ შემოხვეული ფრინველებისა და მავნე მწერებისაგან დასაცავად.

მიჩურინის სანერგეში განუწყვეტლივ ჩამოდიან ექსკურსანტები და მებაღე გლეხები, რომლებსაც სურთ შეისწავლონ ახალი ჯიშის ხეების გაშენება. მათ მიაქვთ თესლები, ნერგები და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს ამრავლებენ ხილის, ბოსტნეულის ყვავილების ახალ ჯიშებს.

თარგმ. ნ. ტყეშელაშვილის.

დნეპროსტროი-36 მილიონ ადამიანი.

ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მდინარე დნეპრს შეესიენ მუშები და მოინდომეს მისი დამორჩილება. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა დნეპრზე დიდი ელსადგურის-დნეპროსტროის - აგება. ყველა მშრომელი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს...

1932 წლის 28 მარტს დაასრულეს დნეპროსტროის დამკვრელმა მუშებმა საგუბარის აგება, მათ ვადაზე 6 თვით ადრე ააგეს ეს საგუბარი და დიდად ისახელეს თავი. აქ მუშაობდენ ქალების ბრიგადები, კომკავშირული ბრიგადები, და არავინ არ ზოგავდა ძალ-ღონეს.

1932 წლის 16 აპრილს ამუშავდა დნეპროსტროის პირველი ტურბინი, რომელსაც საშინელი ძალით აბრუნებს დამორჩილებული წყალი, ტურბინის ტრიალი კი იძლევა ელექტრობას.

იცით, რას უდრის დნეპროტროის ძალა? აბა წარმოიდგინეთ 36 მილიონი ადამიანი! ეს ერთი ელსადგური სწორედ 36 მილიონი ადამიანის ძალ-ღონის პატრონია. 600 მილიონი მანეთი დაჯდა ის, აუარებელი მუშა ღვრიდა იქ ოფლს.. წარმოიდგინეთ 400 კილომეტრის მანძილზე გაჭიმული საბარგო მატარებელი, რომლის ყველა ვაგონი მიწით არის სავსე — აი ამდენი მიწა ამოთხარეს დნეპროსტროის მუშებმა ამ შესანიშნავი ელსადგურის ასაგებად.

თქვენ გგონიათ დნეპროსტროი ელექტრობას აძლევს ფაბრიკა-ქარხნებს, იძლევა სინათლეს და მეტი არაფერი? არა, ის სხვა მხრივაც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს: დნეპრში ზოგან ძალიან დიდი ქვებია, ეგრეთწოდებული ჭოროხები. გემები ვერ დადიოდა ამ ადგილებში, რადგან ქვებზე დაიმტვრეოდა. ახლა, რადგან წყალი შეგუბდა, 37 მეტრის სიმაღლეზე ავიდა წყალი და გემებს თავისუფლად შეუძლია ჭოროხიან ადგილებში გავლა: ქვა ახლა ძირს არის, გემი მას არ წამოედება.

ერთი დიდი საქმეც გააკეთა ამ ელსადგურმა: რადგან წყალი ძალიან შეგუბდა, მაღლა ავიდა, შეიძლება ამ წყლის ნაწილი გადავუშვათ უფრო დაბლა მდებარე გვალვიან ადგილებში, მოვრწყოთ დიდი ფართობი და მივიღოთ დიდი მოსავალი იმ მიწებიდან, რომლებიც გადატრუსული იყო მზისგან.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს დნეპროსტროის — 36 მილიონი ადამიანის ძალ-ღონის პატრონს!

შ. თ.

ჩაპეიერი ლიუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუ 7 წლისაა. მიუხედავად მისი მცირეწლოვანებისა, ის უკვე ორი წელია, რაც იაპონიის აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობს.

ლიუ გათენებამდე დგება. საწრაფოდ შეჭამს ბრინჯისაგან დამზადებულ მცირე საჭმელს და გაობის სამუშაოზე. მას შიმშილისაგან მთელი დღე თავ-

ბრუ ესხმის, ბევრი მუშაობისაგან ხელები უკანკალებს, თავი კი თანდათან დაბლა ეხრება.

ზედამხედველი ჩიზავის სათვალეების შავი რგოლები ყველას ხედავს. მან დაინახა, როგორ ნელ-ნელა დაიწყეს მუშაობა ლიუს თითებმა.

ჩიზავი სწრაფად გაივლის პატარა მანძილს რიგებს შუა და და ლიუს უკან გაჩერდება. ჰაერში წკრიალი, სტვენა გაისმის. ლიუ ტკივილისგან შეჰკივლებს, მას მთელი დღე ბამბუკის სტვენა ესმის.

ხშირად მის მეზობლად მჯდომი ბავშვები შიმშილისგან გრძნობას ჰკარგავენ. ჩიზავი ამასაც ხედავს. ის დინჯად მიუახლოვდება გრძნობადაკარგულ პატარა მონას და ურტყამს ბამბუკს უძრავ სხეულზე.

— ერთი, ორი, სამი.—არ შველის! მაშინ ჩიზავი ლანძღვით და გინებით მიათრევს გრძნობადაკარგულს კარებისაკენ. სუფთა ჰაერზე ის ისევ გრძნობაზე მოდის.

დალამებისას პატარა მუშები, მუშაობისაგან გაყვითლებულნი, ნელ-ნელა მიემართებიან სახლებისაკენ.

ლიუს გზაში სხვა ფაბრიკებიდან მომავალი სილუეტები ხვდებიან.

სახლში მას ხვდება ცოტა ბრინჯის შეჭამადი და დედის სევდიანი გამოხედვა.

ფაბრიკა გაჩერდა. აი, უკვე მეათე დღეა, რაც ლიუ გვიან დგება. სახლში საჭმელი აღარ არის. მამას ხანდახან მოაქვს ცოტა ბრინჯი. მაგრამ მას ის ერთ დღესაც არ ჰყოფნის.

ქუჩებში მოუსვენრობაა. ხალხი აღშფოთებული დაიარება. შორიდან ბოთის ხმები ისმის. სროლა ხან ძლიერდება, ხან სუსტდება.

ჩაპეის ცაზე შავი წერტილები მოჩანან. ყველა თვითმფრინავებს შესცქერის და ცდილობენ გამოიცნონ:

— ჩვენია. ... არა, იაპონიისაა!

შავი წერტილები თანდათან დაბლა იწევენ. ბრბო შიშისაგან აფუსფუსდა, მაგრამ უკვე გვიან იყო... გაისმის ქუხილისებრი ხმა, ერთხელ, მეორედ, მესამედ....

ამ საშინელი ხმაურობისაგან და დაჭრილების კვნესისაგან შეშინებული ლიუ გარბის სახლისაკენ. ლიუს წინ ქუჩაში ყუმბარა გასკდა, რამაც ის წააქცია და თავი ქვაზე დააკვრევინა. ალისფერი სისხლით დაეფარა მას სახე და ხელი.

ლიუ ნელ-ნელა წამოიწია, მან ხელით მოიწმინდა სისხლი და იქით-აქეთ გაიხედა, ისევ გაიქცა შინ. სახლები იწვის. ერთი სახლის წინ მკვდარი ქალი გდია, რომელსაც ყელთან ჩაჰკვრია ბავშვი და სძინავს, მეორე კი დასტრიალებს დედას ირგვლივ, რაღაცას ბუზღუნებს და ეწევა დედის უგრძნობ ხელს, თითქოს ადგომას ეხვეწებაო.



დაინახა თუ არა დედამ სისხლიანი, სიობილით მომავალი ლიუ, მის შესაგებებლად გაიქცა. მოსწმინდა სისხლი, შეუხვია თავი და მისცა უკანასკნელი ულუფა ბრინჯისა.

მოვიდა მამა, მოუსვენრად შეხედა შვილის შეხვეულ თავს. გარედან ყუმბარების გრიალი მოისმოდა, რომლებსაც იაპონიელების თვითმფრინავები ისროდა.

დაბინდდა... ცეცხლი არ დაუნთიათ. ოთახს ცეცხლმოკიდე-

ბული სახლები ანათებდენ. ღამე მოუსვენრად გაატარეს.

დილით სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ შორიდან მოდიოდა იარაღისა და ტყვიამფქვევების ხმები.

— ლიუ! — დაუძახა მამამ შვილს.—გაიქეცი ი-მენუსთან და თოკი სთხოვე. შევკრავთ ბარგს და გამოვალთ ამ ჯოჯოხეთიდან. მხოლოდ ფრთხილად, თორემ მოგვკლავენ...

ლიუ გაუბედავად გაიქცა. მას გზადაგზა გვამები ხვდებოდა. ისინი გზაზე ცალ-ცალკე და ჯგუფჯგუფადგაფანტულიყვნენ.

აი ი-მინის ნაცნობი სახლიც. ლიუ სწრაფად შეევარდა სახლში— არავინ არის, სიცარიელეა. ის მიხვდა, რომ ი-მენი ბარგით და ცოლ-შვილით სადღაც გახიზნულა. ლიუმ სირბილით უკან გამოსწია.

ხელახლა გაჩნდენ იაპონიელების თვითმფრინავები. ლიუმ

ნაბიჯს უფრო უჩქარა. აი უკანასკნელი შესახვევიც. შორიდან უკვე მოჩანს მისი სახლის სახურავი. უცბად წინ რაღაც განათდა. სახლი, რომელშიაც ლიუ ცხოვრობდა, უკვე აღარ ჩანდა, მის ადგილას რაღაც გროვა იწოდა. ის არ უჯერებდა თავის თვალებს და დასარწმუნებლად უფრო ახლოს მიირბინა. არ არის სახლი. ლიუ ხმამაღლა ატირდა და თან მშობლებს ეძახდა.

რამოდენიმე დღეს ლიუმ არ იცოდა სად წასულიყო და დახეტიალებდა ქუჩებში. ის დღეში რამდენჯერმე მიირბენდა ნაცნობ ადგილზე იმედით, მაგრამ ნაცნობი სახლი აღარ ბრუნდებოდა. ერთხელ, როდესაც ლიუმ ნამწვავებში დაიწყო ქექა, წააწყდა დედის მომწვარ ფეხებს. ლიუ ყველაფერს მიხვდა. ის გადარეული გაშორდა ამ საშინელ ადგილს და იმის შემდეგ აქეთ აღარ მოსულა.

ლიუ ჩინელ ჯარისკაცებს შეუერთდა. ის ასრულებდა ჯარისკაცების მიერ დაკისრებულ პატარ-პატარა დავალებებს, რისთვისაც საკვებს ღებულობდა.

ერთხელ როგორღაც ჯარისკაცებმა ლიუ წყლისათვის გაგზავნეს. მან გადაირბინა ქუჩები და შევიდა ერთ სახლში. ეს სახლი კათოლიკეთა მისიონერების პუნქტს წარმოადგენდა. ქვევით კარები დაკეტილი აღმოჩნდა. ლიუ აძვრა მეორე სართულზე და ეცა პირველსავე კარს. ოთახიდან გაისმა სროლა. ლიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარადის უკან დაიმალა. ხელმეორედ გაისმა სროლა. ლიუმ ფრთხილად გამოიხედა კარადიდან. მან შენიშნა ნაცნობი სახე ქსენძისა, რომელიც ასე ხშირად დაიარებოდა მათ ქუჩაზე და ეწეოდა ჩინელებს შორის აგიტაციას,—მიეღოთ კათოლიკური რწმენა. ქსენძს ხელში რევოლვერი ეჭირა. ის ჩინელ ჯარისკაცს უმიზნებდა.

ლიუს დაავიწყდა თავისი თავი, წაავლო იქვე მდებარე ჯოხს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუშვა ღვთის მსახურის თავზე. შემდეგ გაიქცა ფანჯრისაკენ და დაიწყო ყვირილი.

—ეი, ეი, აქეთ! აქეთ, აქ...

ლიუმ იგრძნო, რომ მოულოდნელად ვილაცამ მაგრად წაავლო ხელი. მას უნდოდა ხელიდან გასხლტომოდა, ჰკბენდა, სცემდა ფეხებით, მაგრამ ამით ვერაფერს შველოდა.

—აჰა, გველის წიწილავ! წადი შენებთან, შენებთან,—ბოროტად თქვა ქსენძმა და ლიუ ფანჯრიდან გადაისროლა.

ქვაფენილზე გაშხლართული პატარა ლიუს ახლოს იდგენ გაჩუმებული ჯარისკაცები.

ორ ჯარისკაცს სახლიდან შეგოჭილი ქსენძი გამოჰყავდა.

Გ. ᲖᲘᲜᲓᲔ. ᲗᲐᲠᲒ. ᲔᲚ-ᲘᲡ.

სამღვდელოება მშრომელების მტერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოიცა, მოიცა, მე გეტყვი. რაც მე იქა ვნახე, არასოდეს არც გამიგონია და არც წამიკითხავს.

ილიკომ ბავშვები აქეთ-იქით მისწია, შუაში თვითონ მოიკალათა და საამბობრად მოემსადა.

საღამოჟამი იყო, ბავშვები ბანაობის შემდეგ მაღლა გორაზე ასულიყვნენ და ნაადრევ მთვარის ამოსვლას შესცქეროდნენ.

ტფილისი, ირგვლივ ელექტრონის ლამფებით გაშუქებული, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავდა. ალაგ-ალაგ მტკვარი საამურად ლაპლაპებდა. ვერის ხიდიდან ტრამვაის გრიალი შორეულ ქუსილივით მოისმოდა.

ქვემოთ ბორანი მტკვრის ტალღებს აქაფებდა და მეორე მხრისაკენ წენარად მიცურაობდა.

—იცით, დათხოვნის წინ მასწავლებელმა ექსკურსიით ლისის ტბაზე წაგვიყვანა. ერთ ადგილას, ტბის ახლო, დიდი გუბე იყო დამდგარი. იქაურობა ყვავილებით ისე იყო მოქარგული, თითქოს ჭრელი ხალიჩა დაუფენიათო.

ყველაზე უწინ ყვავილებისაკენ მე გავექანე. ერთ-ერთ ლამაზ ყვავილს რომ დავწვდი, გული გამისკდა: უზარმაზარი, დიდმუცელა, რაღაცნაირი ობობა ყვავილიდან მოწყდა, თავის ოქროს ქსელს ჩაჰყვა, ჩაჰყვა და დაწმინდავებულ წყალქვეშ საჰნის ბუშტივით გამჭვირვალე ბარკუჭანაში ჩაბრძანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



—მასწავლებელო, მასწავლებელო!—ვიეიერ გაკვირვებულმა და ჩამორჩენილ ჯგუფს სელსასოცი დაეუქნიე.

იმათ ეგონათ გველიაო და ჩუმსკენ სწრაფად გამოიქცენ.

—მასწავლებელო, დასეთ, ობობა წყალში ჩაძერა, აი უეურეთ, ქვეეით რაღაცა ბუშტიეით არის, იქ ჩაიკუნჭა და აღარ ამოდის.

მასწავლებელს გაეცინა:

—ოო, ეს კარგია, რომეენასეთ. ამისთანა ობობაზე მე თქვენთვის არ მიამბნია, მისი ცხოერების შესახებ მე მოგიეეებით.

ბავშვები შემოედვენ, ვინ ვის მოასწრებდა, აღარ იცოდა. ჩვენი შალიკო ისე ძლიერ დაეირავდა, რომ შიგ ჯაობში ცხვირი ჩაჭეო და, რომ არ დამეჭირა, კამეხიეით ჩაწვებოდა.

—აბა მაგის გაბმულ-გამობმულ ქსელს მიაქციეთ ეურადღება,—ასე დაიწეო მასწავლებელმა.

—სედავთ, აქეთ-იქით ევავილების ღეროებზე თავისი წყალქვეშა სახლი იალქნებიეით როგორ მიუბამს, აი ამ ქსელის საშუალებით იკვებება ეგ წყლის ობობა. მაგ ქსელში წყლის ბაწია მწერები ისლართება და ეგ ღორმუცელა ბატონი ელვის სისწრაფით თავს ეცემა და ეველას სანსლავს.

—მასწავლებელო, მერე და წყალში რატომ არ ისრჩობა, იქ ხომ ჭაერი არ ექნება?

—ჰო, სწორედ ეგაა საინტერესო. ეგ ნამდვილი ბუნებრივი მექანიკოსი და ინჟინერია. ეგ ბუშტი, ბავშვებო, მაგის სახლია. იცით, როგორ იშენებს ეგ თავის სახლს? მაგას ერთგვარი სითხე აქვს, როცა ზემოთ ბრძანდება, მაშინ ამ სითხეს გამოუშვებს და თავის ბურთის მსგავს ტანს ამ სითხით იფარავს. ეს სითხე სელად შრება, სხეულზე მაგრდება და სხეულიდან დარგვალებული ბუშტის მსგავსად ეცლება; როცა ზემოთ ჰაერსეა, ეს ბუშტი ჰაერით ივსება. ობობა ამ ბუშტს შიგ მოთავსებული ჰაერით წყალში ითრევს. იქ ქვემო მის ნაწილს თავისი ქსელით რომელიმე მცენარეზე მიაბამს, რომ ბუშტმა არ ამოიტივტივოს. შემდეგ ობობა ისევ ზემოთ ამოცურდება, მეორე ბუშტსაც ამსადებს და მეორეს პირველზე გადაბამს, ისე რომ ჰაერის რაოდენობა და სახლის სიფართოვე დიდია.

აი უყურეთ, უყურეთ, ბავშვებო, ხედავთ, მის გვერდით რომ ბუშტია, ის მამალი ობობას სახლია. აი, გახედეთ, ორივე შეერთებულია ფარული შესავალით.

ამათ კიდევ სადმე მომავალი თაობისათვის ცალკე სახლები ექნებათ გაკეთებული, სადაც დედალი ობობა კვერცხებს დებს. მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარაგებული ჰაერი იმ დრომდე ჰყოფნის, სანამ ნაწია შვილებს თავის მოვლა და გამოკვება შეეძლებათ. მერე თვითონ განაგრძობენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ახლა ეს რომ აქ განცხრომით ჩაბრძანდა, თავისი გამჭვირვალე სახლიდან მხოლოდ მაშინ გამოქანდება, როცა ეს გაბმულ-გამობმული სახლები რხევას დაიწყებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ გემრიელი ნადირი ქსელში გაება და თავის დასაღწევად ფართხალებს. ობობა გარბის და დღითი-დღე ასე სუქდება,-ასე დაამთავრა ჩვენმა მასწავლებელმა.

ბიჭები ახმაურდენ, ყველამ მოისურვა ობობა სახლით წელიდან ამოეგლიჯათ, თან წამოეყვანათ, მაგრამ შალიკომ აქაც საქმე გაგვიფუჭა: ფეთიანივით ჩაჰყო ხელი, ობობა გამოიქცა და გამჭვირვალე სახლი ისე ძლიერ ამოიტაცა, რომ ჰაერზე, თუ არ ვიცი, წელის დაწოლით, სახლი მართლა საპნის ბუშტივით დაიფუკა.

— იცი, ილიკო, რა გითხრა, ტფილისში დარჩენილი მოზარდი ბიჭები ციების ექსპედიციაში ვართ ჩაწერილი. მომავალ კვირას ჟქიმთან ერთად სხვა კოლოების და მწერების დასაჭერი აპარატებით მდელოსში, ლისაში და გარშემო ჭაობიან ადგილებში მივდივართ. შენც ჩაწერე, ჩემო ძმაო, და ბუნებისმეტყველებაში რომ საგალ-

დებულო სამუშაო მოგაკერეს, მასწავლებელს შენი პრაქტიკული მოღვაწეობაც კოსტად ჩაუწერე. თანაც ის ადგილი გვიჩვენე, ფუნ[illegible]
სარ, სადაც ის ოსტატი ობობები ბუდობენ.

მე ძლიერ მეინტერესება იმათი სახლის და მოწყობილობის დათვალიერება.

— არა, ბიჭო, არა! რა ექსპედიციის მოცდა გვინდა. მოდი, ხვალ დილას ექსკურსია ჩვენ თვითონ გავმართოთ. ლისის ტბა, ძმაო, ტფილისს ცხვირზე აკერია, პურთიც იქ ვითამაშოთ.

— ოჰ, ბიჭო, მართლა, ამ უწვიმობის დროს მდელოსის ბოსტნეულობას წყალი თურმე შემოაკლდა, მთავრობას სატუმბავი მანქანა მიუცია, მდელოსელები დახვევიან, პატარა გორაზე ლამაზი არხი გაუყვანიათ და ლისის ტბის წყლით თურმე რწყავენ ახლა კოლექტივის ბოსტნეულობას. ესეც ხომ კაი სანახავია, ავდგეთ და ჩვენ თვითონ წავიდეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ!—იყვირეს ბიჭებმა ერთხმად და მახათას მთას მიაშტერდნენ.

— ეე, ამოდის ამოდის!

— ოხ, რა ლამაზია, რა დიდია!

— ერიჭაააა! ამ ტფილისის ვარსკვლავებმა გაუხუნეს მთვარეს შუქი.

— შეხე, ბიჭო, შეხე, წინ შესეჩებული ტივივით ღრუბელი ოქროს ვარაყით რარიგ მოიქარგა!

— ჰო, კარგია, ძმაო, კარგია, მაგრამ ახლა კი წავიდეთ, დავისვენოთ, ხვალ დილაზე ადრე უნდა გავუდგეთ გზას.

— სად შევიკრიბოთ?

— სად და ჩვენს სტადიონზე, ყველასათვის ახლო ის არის.

ყველანი ადგილიდან წამოიშალნენ, სიმღერა დააგუგუნეს და დაბლა ტფილისისაკენ დაეშვნენ.

ცქვიტი

ვისნავლოთ თვითმფრინავის მოდელების გაკეთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაღალდის მოდელები უპროპელერად

აიღეთ ქაღალდის ფურცელი, გაკეცეთ შუაზე და დახატეთ ზედ ნახევარი თვითმფრინავი, როგორც ნაჩვენებია ნახატზე 1. ამ ნახატის მიხედვით გამოჭერით მაკრატლით და გაშალეთ,—მიიღებთ გამოჭრილ თვითმფრინავს. წინ გაუკეთეთ ასანთის ღერი, რომ ჰაერში უკეთესად გაჩერდეს.



სურ. 1



სურ 2

თქვენი თვითმფრინავის „მგზავრებისათვის“ შეგიძლიათ დაამზადოთ პარაშუტის მოდელი ქაღალდისა და ძაფებისაგან (ნახ. 2).



სურ. 4

სურ. 5

თვითმფრინავის მოდელი პროპელერით.

აქ დახატულია მოდელის ნაწილები, რომლებიც აღნიშნულია ასოებით. დახედეთ ნახ. 4-ს. აიღეთ ფიჭვის ან ნაძვის შიმშა, სი-

გრძით 60 სანტიმეტრი, სიგანით 8 მილიმეტრი და სისქით 8 მილიმეტრი (ა). გათალეთ ეს შიმშა და ზედ მიამაგრეთ მავთულის ჩანჩხი (ბ). აიღეთ კიდევ ორი შიმშა, ერთი 16 სანტიმეტრი და მეორე 17 სანტიმეტრი, გათალეთ ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ.-3-ზე; ეს



ორი შიმშა მიამაგრეთ ერთიმეორეზე ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ. გ-ზე. ეს ნაწილი მიამაგრეთ გრძელ შიმშას, და რომ უფრო კარგად მიემაგროს, ორივე მხრიდან მიაკარით თხელი სამკუთხედები დახედეთ ნახ. 5.



სურ.7.



სურ. 8.

გააკეთეთ თხელი კარდონის თვლები. თვლების დიამეტრი 6 სანტიმეტრს უნდა უდრიდეს. დახედეთ ნახ. 6-ს. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გაკეთდეს პროპელერი. აიღეთ ფიცარი, სიგრძით 30 სანტიმეტრი, სიგანით 3 სანტიმეტრი, სისქე — ნახევარი სანტიმეტრი, დახატეთ ზედ პროპელერი და გამოჭერით დანით.

აიღეთ სქელი მავთული და ერთი ბოლო მოუკაკვეთ, როგორც ნაჩვენებია ნახატზე. ამ გამზადებული ნაწილის წინა შიმშა გახვრიტეთ და ჩამოაცვით ზედ ეს მავთული ისე, რომ მისი მოღუნული ბოლო გრძელი შიმშის ქვეშ იყოს, გაშლილ ბოლოზე კი ჩამოაცვით ორი თხელი საყელური და მინის მძივი, მერე ჩამოაცვით ამ მავთულს პროპელერი. თქვენ უნდა გამოგივიდეს ისე, როგორც მე-7 ნახატზეა ნაჩვენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათალეთ ორი თხელი შიმშა, სიგრძით თითო 33 სანტიმეტრი, და დაამაგრეთ გრძელ შიმშაზე იქ, სადაც მავთულის ჩონჩხია.

ამ ორ თხელ შიმშას ზევიდან პაპიროსის ქაღალდი გადააკარით. მანძილი შიმშებს შორის 12 სანტიმეტრი უნდა იყოს.

შემდეგ გააკეთეთ ჩარჩო, რომელიც კვადრატული უნდა იყოს,— 12 სანტიმეტრი სიგრძე და 12 სანტიმეტრი სიგანე. ჩარჩოს ორი მხრიდან პაპიროსის ქაღალდი გადააკარით და დამააგრეთ თვითმფრინავის ბოლოს თხელ შიმშებს შუა იმგვარად, როგორც მე-8 ნახატზეა ნაჩვენები. თქვენი თვითმფრინავის მამოძრავებელი იქნება რეზინის ნაჭერი, რომელიც უნდა მიამაგროთ მთავარ შიმშას ქვე-



სურ. 9

ვიდან, როგორც ნაჩვენებია მე-8 ნახატზე. ახლა მოდელს ფრთა აკლია. სანამ ფრთას გავაკეთებდეთ, უნდა ვიპოვოთ მოდელის სიმძიმის ცენტრი, ამისათვის მთელი მოდელი უნდა დაჭიდოთ ძაფზე და მოიყვანოთ წონასწორობაში. სადაც იქნება სიმძიმის ცენტრი, იქ უნდა გაუკეთოთ ფრთა.

ფრთის გასაკეთებლად აიღეთ ნაძვის ორი შიმშა, თითო 85 სანტიმეტრის სიგრძის, და მიამაგრეთ ცენტრიდან 7,5 სანტიმეტრის დაშორებით.

ფრთებს გადააკარით ქაღალდი, და მოდელი მზად იქნება (იხ. ნახ. მე-9). პროპელერის საშუალებით დაატრიალეთ რეზინი და ააფრინეთ მოდელი ჰაერში.

გ. ი.